

საქართველოს კანონი
„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14(48), 1999 წელი, მუხ. №209) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) 214-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

ბ) 257-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 257. ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურება:

1. ბუნების ძეგლის განზრახ (22. 06. 2001 №989) დაზიანება ან განადგურება,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.
2. იგივე ქმედება, რამაც განსაკუთრებული ღირებულების ობიექტის დაზიანება ან განადგურება გამოიწვია,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტი წლამდე.
3. ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
4. იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია განსაკუთრებული ღირებულების ობიექტის განადგურება ან დაზიანება,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის XXX^I თავი:

თავი XXXII^I
დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ

მუხლი 259^I. უკანონო არქეოლოგიური სამუშაოები, არქეოლოგიური ობიექტის დაზიანება

1. არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე ან მასზე განზრახ იმგვარი ზემოქმედება, რამაც არქეოლოგიური ობიექტის დაზიანება ან განადგურება გამოიწვია ან ამ ზემოქმედების შედეგად ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი გაუფრთხილებლობით –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე

მუხლი 259^{II}. კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება

1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება ან განადგურება –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განზრახ დაზიანება –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.
3. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურება, ასევე იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანება ან განადგურება – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

4. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი გაუფრთხილებლობით – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 259^{III}. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დამცავი ზონის ფიზიკური დაცვის არეალში დაცვის ზონის რეჟიმის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვნად გაუარესა ძეგლის აღქმა ან გამოყენება, შეამცირა მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება ან დაზიანების ან განადგურების საფრთხე შეუქმნა ძეგლს, ასევე არქეოლოგიური დაცვის ზონის რეჟიმის დარღვევა, რამაც დაზიანების ან განადგურების საფრთხე შეუქმნა არქეოლოგიურ ობიექტს – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

მუხლი 259^{IV}. ძეგლებისა და კულტურული ფასეულობების საქართველოდან უკანონო გატანა

ძეგლების, არქეოლოგიური ობიექტების ან კანონმდებლობით აკრძალული სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოს ტერიტორიიდან უნებართვო გატანა – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

თავი XXXII²
საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები
კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

მუხლი 259^V. შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების დარღვევა

1. სახელმწიფოთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი კულტურულ ფასეულობათა, დაცვის საერთაშორისო წესების განზრახ დარღვევა, კერძოდ:

- ა) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი მოძრავი ძეგლის დაზიანება ან განადგურება, ქურდობა, ძარცვა ან მითვისება;
- ბ) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი უძრავი ძეგლის დაზიანება ან განადგურება;
- გ) გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი უძრავი ძეგლის ან მუზეუმის, ბილიოთეკის, საარქივო საცავის ან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევისათვის კულტურული ფასეულობათა შესანახად შექმნილი სპეციალური სამალავის, შენობაზე საომარი შეტევის განხორციელება ან ამ შენობების ან მათი ტერიტორიის საომარ ოპერაციებში გამოყენება –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

